სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

05 ნოემბერი 2025

N 21/11102

შპს „გიო-10“-ს დირექტორს
ბატონ გიორგი დავითაძეს

მის: ქალაქი ბათუმი, ალ. გრიბოედოვის ქ. №38
ელ.ფოსტა: ritabolqvadze@gmail.com

ბატონო გიორგი,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენ მიერ 2025 წლის 16 ოქტომბერს წარმოდგენილი №10110 სკრინინგის განცხადება და გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის/დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში არ არის მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის სამართლებრივი საფუძველი. ვინაიდან, 2021 წლის 7 ივლისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია „ქ. ბათუმში, შპს „გიო-10“-ის პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი და პლასტმასის მილების დამამზადებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ №2-1034 ბრძანება, ხოლო კომპანიის მიერ დაგეგმილია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება, სააგენტოში სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია. კერძოდ, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში სკრინინგის განცხადება აგრეთვე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საწარმოში არსებული და საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული დანადგარების (მწარმოებელი, ტექნიკური მახასიათებლები და სხვა შესაბამისი დეტალები) შესახებ, შესაბამის გენგეგმაზე დატანით;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, „საწარმოო ნედლეულის სახით გამოიყენება 330 ტ/წელ პოლიეთილენის გამოყენებული პარკები და 135 ტ/წელ მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების ნარჩენები“. „ტექნიკური რეგლამენტის – პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №472 დადგენილების თანახმად, საქართველოში აკრძალულია პლასტიკის პარკების წარმოება,

რეალიზაცია და იმპორტი. ამასთან ერთად, მუნიციპალურ დონეზე არ არის დანერგილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება. შესაბამისად, დასაზუსტებელია კომპანიის მიერ 330 ტონა ნარჩენი პოლიეთილენის პარკის ნედლეულად გამოყენების საკითხი;

- „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ კონვენციის (ბაზელის კონვენცია) დანართებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ნარჩენის კოდი B3010 გაუქმებულია. ახალი კოდი – B3011 გულისხმობს პლასტმასის მხოლოდ ერთ რომელიმე არაჰალოგენირებულ პოლიმერს, იმ პირობით, რომ ისინი განკუთვნილია რეციკლირებისთვის ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდით და რომლებიც პრაქტიკულად არ შეიცავს დამბინძურებლებს და სხვა სახის ნარჩენებს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს სკრინინგის განცხადებაში;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია როგორც აღდგენისათვის განკუთვნილი ნარჩენების, ისე საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ (კოდები, დასახელებები, რაოდენობები, აღდგენა/განთავსების ოპერაციის კოდები და შემდგომი მართვის ღონისძიებები), „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი ანგარიში საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამისი მეთოდური მითითების წარმოდგენას. ამასთან, აღნიშნული რაოდენობრივი ანგარიში შესაბამისობაში უნდა იყოს საწარმოს წლიურ წარმადობასთან (330 ტ/წელ პოლიეთილენის პარკის ნარჩენი და 135 ტ/წელ მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრის ნარჩენი). გარდა ზემოაღნიშნულისა, ვინაიდან საწარმო მდებარეობს საკურორტო ზონაში, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის პარამეტრები შესაბამისად უნდა იყოს გათვალისწინებული ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასების მოდელირების ანგარიშში, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს სკრინინგის განცხადებაში, ვინაიდან აღნიშნული პარამეტრები პროპორციულად ასახავს საბოლოო შედეგების სისწორეს;
- სკრინინგის განცხადებაში, საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საწარმოში არსებული ხმაურის წარმომქმნელი წყაროების შესახებ და ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოს ფუნქციონირების ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშების შედეგები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული საკითხების დაზუსტებამდე, კოდექსის მე-7 მუხლის 5[1] ნაწილის საფუძველზე, სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

დანართი: ელ.ვერსია.

პატივისცემით,
ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE